საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2585 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 სექტემბრის №1780 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 სექტემბრის №1780 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 2 509 000 (ორი მილიონ ხუთას ცხრა ათასი) ლარი, კერძოდ:

ა) მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 852 000 (რვაას ორმოცდათორმეტი ათასი) ლარისა;

ბ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 800 000 (რვაასი ათასი) ლარისა;

გ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

დ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 357 000 (სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**